შპს "ქსენიია"

საქართველო, ბორჯომის რ-ნი, დ. ბაკურიანი, "დიდველი", ბ.611. ელ.ფოსტა:mebel-smirnow@rambler.ru. ტელ: (+995) 551534999

№01/01
01/11/2018

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 14144
"07" 11 2018
2 ფ.

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

გაცნობებთ, რომ შ.პ.ს. „ქსენიია"-ს მიერ ე.წ. "აწარმოე საქართველოში" პროექტის ფარგლებში მოეწყო ფენოლფორმალდეჰიდური ფისის მიღებისა და მის ბაზაზე „ყვავილების" ღრუბელის დამზდების საწარმო, რისთვისაც შ.პ.ს. „ქსენიია"-მ სახელმწიფო ქონების ეროვნული საგენტოსაგან შეიძინა (ნასყიდობის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი 13/01/2015, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო) ქ.ხაშურში, ბექაურის ქუჩაზე მდებარე მდებარე 4350.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 952.3 კვ.მ განაშენიანების ფართის შენობა, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი:№69.08.38.198.

საწარმოს მოწყობის მიზნით უცხოეთის მოქალაქემ განახორციელა ინვესტიცია და ამჟამად აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ შენობაში მოწყობილია ფენოლფორმალდეჰიდური ფისისა და მის ბაზაზე „ყვავილების" ღრუბელის საწარმო და მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის ობიექტები. საწარმოს ბიზნეს-გეგმის შესაბამისად, გათვალისწინებულია სრული დატვირთვის პირობებში საწარმომ წლიურად აწარმოოს დაახლოებით 184,80 ტ/წელ. „ყვავილის" ღრუბელი.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართის მე-6 პუნქტის 6.1 ქვეპუნქტის თანახმად "შუალედური პროდუქტის ქიმიური დამუშავებით ქიმიური ნივთიერებების წარმოება" მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას. ამ კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობისთვის გზშ-მდე ხორციელდება სკრინინგის პროცედურა, გარდა ამ მუხლის მე-13 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, რომლის შესაბამისად "თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. „ქსენიია"-ს გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, ამიტომ საქართველოს კანონის

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-8 მუხლით შესაბამისად, შემუშავებული იქნა სკოპინგის ანგარიში (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე), რომელსაც წარმოგიდგენთ სკოპინგის დასკვნის გასაცემად.

დანართი: 1. შ.პ.ს. „ქსენიია“-ს ფენოლფორმალდეჰიდური ფისის მიღებისა და მის ბაზაზე „ყვავილის“ ღრუბელის დამზდების საწარმოს სკოპინგის ანგარიში და დოკუმენტის ელ. ვერსია;

2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

პატივისცემით,

დირექტორი ალექსანდრე სმირნოვი